საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

09/03/2026

MES 2 26 0000287859

გადაწყვეტილება

"სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 მარტის №303281 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული 2026 წლის 18 თებერვლის №182485 წერილის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №280649, 09/03/2026) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1."სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 მარტის №303281 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართი №1 - ში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
"ფარმაცევტული ტექნოლოგია";
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 09 მარტის №280649 სხდომის ოქმის №06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 20 თებერვლიდან.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ეროვნული სააგენტო
მზისმეფსმეღის
ელექტრონული